Bakhvi HPP

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“

ადამიანის უფლებათა კორპორატიული პოლიტიკა

ადამიანის უფლებების კორპორატიული პოლიტიკა დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

სარჩევი

შესავალი....2
ჩვენი ვალდებულებები....2
ჩვენი მიდგომა....3
ჩვენ მიერ მიღებული ზომები....4
მუშაობის მონიტორინგი....5
ადამიანის უფლებათა კორპორატიული პოლიტიკა....6
ადამიანის უფლებების კორპორატიული პოლიტიკის წლიური გადახედვის პროცესი....7

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI"
ადამიანის უფლებათა კორპორატიული პოლიტიკა

შესავალი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" (შემდგომში - „კომპანია") გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 10.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1" ჰესის მშენებლობას. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი" (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის" ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

ბახვი 1 ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს მდ.ბახვისწყლის 1 735 და 1 383 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. გათვალისწინებულია მდ.ბახვისწყლის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის მშენებლობა, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი და მიწისზედა ჰესის შენობა. ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 10.9 მგვტ, ხოლო საპროექტო ხარჯი - 4მ^3/წმ. სათავე ნაგებობა განთავსდება მდ.ბახვისწყლისა და მდ.ბაისურას ღელეს შესართავიდან 250 მ-ით ქვემოთ. შეტბორვის დონეა ზღვის დონიდან 1731.70 მ, ხოლო ჰესის შენობის ქვედა ბიეფის ნიშნული ზღვის დონიდან - 1383.0 მ.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

მოცემული პოლიტიკა ეხება ჩვენს თითოეულ თანამშრომელს, მათ შორის მაღალი პოზიციის პირებს, კონტრაქტორებს, დირექტორთა საბჭოს წევრებსა და ყველა იმ ობიექტს, სადაც ვოპერირებთ.

ჩვენი ვალდებულებები

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI" იღებს ვალდებულებას დაიცვას თანამშრომლებისა და ჩვენი ობიექტების მიმდებარედ მცხოვრები თემების უფლებები.

ჩვენი ერთგულება ამ ვალდებულებისადმი ნათლად ისახება ჩვენს ადამიანის უფლებათა კორპორატიულ პოლიტიკაში.

ჩვენ დავნერგეთ კონკრეტული მოთხოვნები და მითითებები, რათა უზრუნველვყოთ, როგორც ჩვენი თანამშრომლების, ასევე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი თემების უფლებები.

აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს ჩვენ მზაობას ისეთი გარემოს შესაქმნელად, რომელშიც ადამიანის უფლებები არა მხოლოდ აღიარებული, არამედ აქტიურად დაცულია.

ბახვი 1 ჰესის მიზანს წარმოადგენს შექმნას ისეთი სამუშაო ადგილი, რომელიც მიზნად ისახავს დადებით და ხანგრძლივ ზემოქმედებას, როგორც დასაქმებულთათვის, ასევე მომიჯნავე თემების კეთილდღეობისათვის.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის ადამიანის უფლებების პოლიტიკა შეესაბამება მუშაობის ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ[1] შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას, ისევე როგორც გაეროს გლობალურ შეთანხმებაში დადგენილ პრინციპებს[2]. ადამიანის უფლებებისადმი ჩვენი ერთგულება ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს. აღნიშნული გულისხმობს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის ვალდებულებას, რაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია გაწერილი და განმტკიცებულია გაეროს გლობალურ შეთანხმებაში.

გაეროს ადამიანის უფლებათა გენერალური ასამბლეის პრინციპების დაცვით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ უზრუნველყოფს, რომ კომპანიის საქმიანობა წარიმართოს ადამიანის უფლებებისა და ღირსების ღრმა პატივისცემით. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი შესაძლებლობა, ხელი შევუწყოთ გამოსწორების შესაძლებლობას და ვცნობთ ჩვენს პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების პატივისცემაზე გაეროს გლობალური შეთანხმების დებულებების შესაბამისად.

ჩვენი ვალდებულება ვრცელდება ინკლუზიური, სამართლიანი და ეთიკურად პასუხისმგებელი ბიზნეს გარემოს შექმნაზე, რომელიც იცავს ადამიანის უფლებების უმაღლეს სტანდარტებს.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, დავიცვათ ადამიანის უფლებები, რომლებზეც ჩვენი საქმიანობა ვრცელდება, თანამშრომლების, კონტრაქტორების და ყველა დაინტერესებული მხარის ჩათვლით. ჩვენი მიზანია, თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი ჩართულობა ან წამახალისებელი ქმედება ადამიანის უფლებების დარღვევაში და აქტიურად ვმუშაობთ აღნიშნული საკითხის დაცვის უზრუნველსაყოფად.

მოცემული ადამიანის უფლებების პოლიტიკა აყალიბებს კომპანიის მოლოდინებსა და პრინციპებს, როგორიცაა შრომითი უფლებები და გმობს თანამედროვე მონობას. დოკუმენტი წარმოაჩენს ჩვენს ვალდებულებებს ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებაში და აღწერს, თუ როგორ ვმართავთ ადამიანის უფლებებს ჩვენი ოპერირების არეალში.

აღნიშნული, ასევე მეტყველებს მუდმივ ვალდებულებაზე, გაზარდოს ჩვენი საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების ფართო ჩართულობა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ტიპის ღია თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რათა დაგვეხმაროს გავაგრძელოთ გაუმჯობესებისკენ სწრაფვა და განვახორციელოთ პოზიტიური და მდგრადი ცვლილებები ადამიანების ცხოვრებაში.

ჩვენი მიდგომა

აღნიშული პოლიტიკის შესრულებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ რამდენიმე პრინციპით, რაც ხელს უწყობს ჩვენი მიდგომის განსაზღვრას, კერძოდ:

- ჩვენი მიზანია ყოველთვის დავიცვათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია სამუშაოზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ;
- ჩვენ ვიცავთ და ყოველთვის ვესწრაფვით ვიმოქმედოთ გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად;

[1] https://embeddingproject.org/resources/ilo-declaration-on-fundamental-principles-and-rights-at-work/
[2] https://unglobalcompact.org/what-is-gc/our-work/social/human-rights

- ვგმობთ ადამიანის უფლებების დარღვევას ჩვენი თანამშრომლების, კონტრაქტორების ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ, რომლებიც მოქმედებენ ჩვენი სახელით ან უკავშირდებიან ჩვენი საქმიანობის რომელიმე ასპექტს;
- ვგმობთ ბავშვთა შრომას, ციხეში შრომას ან რაიმე სახის იძულებით შრომას ან მონობის ნებისმიერ ფორმას;
- ჩვენ გვჯერა სამართლიანი დასაქმების პრაქტიკის და ისეთი სამუშაო ადგილის, სადაც ყველა ადამიანს ღირსეულად და პატივისცემით ეპყრობიან. ვგმობთ დისკრიმინაციას ინდივიდების მიმართ რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, ეროვნების, სოციალური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვადასხვა გაერთიანებების წევრობის საფუძველზე;
- ჩვენ მიზნად ვისახავთ სამართლიანად ავანაზღაუროთ ყველა თანამშრომლის და კონტრაქტორის შრომა. ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ სამუშაო საათების შესაბამისობას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან, ასევე უზრუნველვყოფთ ზეგანაკვეთურ სამუშაოების სამართლიან კომპენსაციას და ვანაზღაურებთ კუთვნილ შვებულებებს;
- ჩვენ პატივს ვცემთ გამოხატვის თავისუფლებას და ჩვენი თანამშრომლებისა და კონტრაქტორების პარტნიორობის უფლებას, მათ შორის ქვეყნის კონსტიტუციით მინიჭებულ ფუნდამენტურ უფლებებს;
- ვგმობთ მუქარას, დაშინებას ან თავდასხმას ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ;
- სამთავრობო უწყებებთან, კონტრაქტორებთან და მესამე მხარის მომსახურების მომწოდებლებთან ურთიერთობაში, მაქსიმალურად ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ ადამიანის უფლებების უარყოფითი ზეგავლენა, მათ შორის, გარე პირების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევა;
- ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით;
- ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ მრავალფეროვანი, სამართლიანი და ინკლუზიური სამუშაო ადგილის შესაქმნელად, რომელიც თავისუფალი იქნება რასის, სქესის, კანის ფერის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, ორსულობის, გენდერული იდენტობის ან გამოხატვის, პოლიტიკური შეხედულების და სხვა კატეგორიის დისკრიმინაციისგან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ჩვენ მიერ მიღებული ზომები

- ჩვენ შევიმუშავეთ და დავნერგეთ დამხმარე პოლიტის დოკუმენტები, პროცედურები, ტრენინგები და შიდა ანგარიშგების მექანიზმები, რათა წარმატებით აგვემოქმედებინა მოცემული ადამიანის უფლებების პოლიტიკა;
- ყველა, ახალ თუ მოქმედ თანამშრომელს, ადამიანის უფლებების და საჩივრების მექანიზმის პროცედურების შესახებ ვუტარებთ ტრენინგებს;
- ჩვენ უზრუნველვყოფთ უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს თითოეული თანამშრომლისთვის, კონტრაქტორისა და ქვე-კონტრაქტორისთვის;
- ჩვენ ვიცავთ და მოვითხოვთ, თითოეული მომწოდებელისა თუ კონტრაქტორისგან დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები და გაეროს გლობალური შეთანხმების დებულებები ადამიანის უფლებების შესახებ;

- ვაწარმოებთ ადამიანის უფლებათა მონიტორინგს იმ ქმედებებისთვის, რომლებიც შესაძლოა პოტენციურად შეიცავდეს ადამიანის უფლებების უარყოფით მოქმედებას და ვცდილობთ მივიღოთ გონივრული ზომები ამ ზემოქმედების შესამცირებლად;
- მომწოდებლებისა და სხვა ჩართული მესამე მხარის მომსახურების გამწევი ორგანიზაციებისაგან, დაჟინებით მოვითხოვთ, ადამიანის უფლებების წესებისა და პირობების გაწერას ხელშეკრულებებში (მათ შორის ამ დოკუმენტის პრინციპების დაცვას). ასევე მოვითხოვთ ადამიანის უფლებების პერიოდულ ანგარიშგებას, სერტიფიცირებას ან/და ტრენინგებს ადამიანის უფლებების საკითხებზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა და შესაბამისად წინასწარ განვსაზღვრავთ შესაძლებლობებს ჩავრთოთ თითოეული მომწოდებელი კონსტრუქციულ მოლაპარაკებებში ადამიანის უფლებების შესახებ;
- ვასაქმებთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა ასაკი აღემატება დასაქმების მინიმალურ ასაკს შრომის საერთაშორისო 138-ე კონვენციის თანახმად ან ეროვნული კანონმდებლობით, იმის გათვალისწინებით, თუ რომელია უპირატესი. ჩვენ არ ვასაქმებთ 18 წლამდე პირებს, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან მორალურ მდგომარეობას;
- ჩვენ უზრუნველვყოფთ სამართლიან კონკურენციას და პატივს ვცემთ საკუთრების უფლებებს;
- ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიას, კულტურას და ტრადიციებს. ვაღიარებთ მათი, როგორც კოლექტიური უფლებების მქონე დამოუკიდებელ პირებს და ვიზიარებთ მათ ინტერესს მიწის, წყალსა და გარემოსთან დაკავშირებით;
- ჩვენ მიზანმიმართულად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომელთაც შეეხოთ ჩვენი სამუშაო პროცესები, რათა შევქმნათ და შევინარჩუნოთ გამჭვირვალე ურთიერთობები, რომლებიც აგებულია ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე;
- ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნა და შენარჩუნება, რომელიც შეიძლება მოხდეს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირ(ებ)ისთვის ზიანის მიყენების გარეშე. ჩვენ გავასაჯაროებთ საჩივრების განხილვის პროცესს;
- კონტრაქტორების ან თანამშრომლების მხრიდან ჩვენი პოლიტიკის დოკუმენტის პრინციპების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მივმართავთ შესაბამის ზომებს;
- ჩვენ ვატარებთ რეგულარულ აუდიტს და შეფასებებს, რათა უზრუნველვყოთ ამ პოლიტიკის პრინციპებთან შესაბამისობა. აუდიტები შეიძლება ჩატარდეს შიდა ან გარე, მესამე მხარის მიერ. გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების შემდეგ, ჩვენ ვადგენთ საქმიანობის გაუმჯობესების გზებს, შეფასების დროს გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზის აღმოსაფხვრელად;
- ჩვენს თანამშრომლებს, პარტნიორებს, კონტრაქტორებსა და ქვე-კონტრაქტორებს ვაწვდით ინფორმაციას აღნიშნული პოლიტიკის შესახებ და უზრუნველვყოფთ მის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის;
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე ვაკეთებთ მოხსენებებს ჩვენი მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების შესახებ;
- ჩვენს პერსონალს აქვს უფლება ჰქონდეს უსაფრთხო, დაცული და ჯანსაღი სამუშაო გარემო. ჩვენ ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ უბედური შემთხვევების, დაზიანებებისა და ჯანმრთელობის რისკები სამუშაო სივრცეში. ჩვენ ვგმობთ შევიწროებას, მათ შორის არასასურველ სიტყვიერ, ფიზიკურ, სექსუალურ ან სხვა ქცევას, რომელიც ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს.

მუშაობის მონიტორინგი

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ სრულად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართ. ამ ვალდებულების ფარგლებში, კომპანიამ დანერგა ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო რისკების დროულ იდენტიფიცირებას, პრევენციასა და

აღმოფხვრას. ჩვენ ვხელმძღვანელობთ საერთაშორისოდ აღიარებული ჩარჩოებით, მათ შორის გაეროს გლობალური შეთანხმებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) პრინციპებით, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი საქმიანობა დარჩეს სამართლიანი, ეთიკური და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დაფუძნებული.

ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის დეტალური დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდზე: https://bakhvihpp.com/

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ სრულად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართ. ამ ვალდებულების ფარგლებში, კომპანიამ დანერგა ადამიანის უფლებების გულდასმითი შესწავლის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს შესაძლო რისკების დროულ იდენტიფიცირებას, პრევენციასა და აღმოფხვრას. ჩვენ ვხელმძღვანელობთ საერთაშორისოდ აღიარებული ჩარჩოებით, მათ შორის გაეროს გლობალური შეთანხმებისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) პრინციპებით, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი საქმიანობა დარჩეს სამართლიანი, ეთიკური და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დაფუძნებული.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ რეგულარულად გადის ადამიანის უფლებათა აუდიტს, რომელსაც ატარებს კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი (შემდგომში „ჰოლდინგი“). აუდიტის სკრუპულოზური პროცესი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დამკვიდრებული სტანდარტებიდან ნებისმიერი გადაცდომის დროულ იდენტიფიცირებას და ასევე მაკორექტირებელ ეფექტიან ქმედებებს. ჰოლდინგის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ეფექტიანი მართვის პროცესის დახმარებით, კომპანია პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და ხელს უწყობს ეთიკურ ბიზნეს პრაქტიკას, რაც თავის მხრივ შესაბამისობაშია ინვესტორების მოლოდინებთან და სტანდარტებთან.

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ ესწრაფვის გამჭვირვალედ აწარმოოს ანგარიშგება საკუთარი ვალდებულებების და საქმიანობის მაჩვენებლების შესახებ ადამიანის უფლებების საკითხში დირექტორთა საბჭოს რეგულარული შეხვედრების საშუალებით.

ადამიანის უფლებათა კორპორატიული პოლიტიკა

კომპანიის უპირველესი პასუხისმგებლობაა ადამიანის უფლებების პოლიტიკის დანერგვა და განხორციელება, რომელიც მოიცავს ყველა დეპარტამენტსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს.

კონკრეტული პასუხისმგებლობა ეკისრება მენეჯმენტის აღმასრულებელ რგოლს, ვინაიდან ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს ორგანიზაციაში ადამიანის უფლებების დაცვაში:

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო გულდასმით განიხილავს და ოფიციალურად ამტკიცებს ადამიანის უფლებათა პოლიტიკას, რაც ხაზს უსვამს ჩვენს ურყევ ერთგულებას ადამიანის უფლებათა პრინციპების მიმართ.

კომპანიის დირექტორი

როგორც ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, გენერალურ დირექტორს ევალება უზრუნველყოს ადამიანის უფლებების ინტეგრირება ჩვენს საერთო სტრატეგიულ მიმართულებასთან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.

ტექნიკური დირექტორი

ტექნიკური დირექტორი აკონტროლებს საქმიანობის ტექნიკურ ასპექტებს. პასუხისმგებელია ტექნიკური გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკის შესაბამისობაში, ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც მოქმედებებს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ან ირიბი გავლენა ადამიანის უფლებებზე.

იურიდიული დირექტორი

იურიდიული დირექტორი უზრუნველყოფს, რომ კომპანიის ყველა საქმიანობა, პოლიტიკა და ოპერაციები შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ადგილობრივ და საერთაშორისო კანონებსა და სტანდარტებთან. ადვოკატირებს ადამიანის უფლებათა საკითხებს იმ იურისდიქციების სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოებში, სადაც კომპანია ოპერირებს. მხარს უჭერს საკანონმდებლო და პოლიტიკის ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების დაცვას და ანგარიშვალდებულებას.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების მენეჯერი ორიენტირებულია კომპანიის, გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობის საკითხებზე. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი გუნდი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის უფლებების გათვალისწინების ინტეგრირებაში ჩვენს სტრატეგიებში, ანგარიშგებაში და დაინტერესებული მხარეების ურთიერთობის პროცესებში.

ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი

ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი პასუხისმგებელია თანამშრომლების, კონტრაქტორების და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების გუნდი უზრუნველყოფს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომების შესაბამისობას ადამიანის უფლებათა პრინციპებთან, განსაკუთრებით სამუშაო ადგილის უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პასუხისმგებელია კომპანიის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაზე, მათ შორის ადგილობრივ მედიასაშუალებებთან, თემის წევრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული როლი ასევე მოიცავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯარო შეკითხვებისა და მედიასთან ურთიერთობის მართვას, აგრეთვე ისეთი საინფორმაციო მასალების მომზადებასა და გავრცელებას, როგორიცაა ბუკლეტები და ყოველთვიური გაზეთი. აღნიშნული მიდგომა ემსახურება გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და ზემოქმედების არეალში მოქცეულ თემებთან ნდობის გაღრმავებას.

ადამიანის უფლებების კორპორატიული პოლიტიკის წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს, კომპანიის მიერ ადამიანის უფლებების კორპორატიული პოლიტიკა სრულყოფილად გადაიხედება. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები გადაეცემა კომპანიის დირექტორს, რევიზიისა და დამტკიცებისათვის. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს,

საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული ადამიანის უფლებების კორპორატიული პოლიტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე, ხოლო მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.